სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1

**ქ. თბილისი** **2026 წლის 04 თებერვალი**

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2.ნინო ფარესაშვილი 3. მარინა მაისურაძე 4. ივა ბახტაძე 5. გიორგი გოროზია 6. ნიკა სამხარაძე 7. ლია მაჭავარიანი 8. ამირან ბიბილაშვილი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. მაკა მურვანიძე 11. ლუკა გერგედავა 12. მაია ივანიძე 13. ირა აქუბარდია 14. ბარბარა მახარაძე 15. ნათია სვანიძე 16. ლუკა ტაბიძე 17. ლილი მამუკაშვილი 18. ვლადიმერ მარგველაშვილი 19. თინა ქიტუაშვილი 20. ია კირვალიძე 21. ლალი შარვაძე 22. არჩილ ხომასურიძე 23. დემეტრე აბესაძე 24. კახაბერ ლორია 25. ანასტასია ზაქარიაძე 26. თეა ქარჩავა 27. გიორგი არქანია 28. მარიამ მახარობლიძე 29. ქეთევან სტურუა 30. ქეთევან ჭეიშვილი 31. ციური სუმბაძე 32. ლალი ახალბედაშვილი 33. თეიმურაზ მაჩაიძე 34. თამილა ჩალაძე 35. გიორგი მამარდაშვილი 36. ედიშერ ფუტკარაძე 37. მანანა ნიკოლაიშვილი 38. მარინე ხუციშვილი 39. ნოდარ ლომიძე 40. თეა შავაძე (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, ვლადიმერ მარგევლაშვილის განცხადებით, სენატის სახელზე წარმოდგენილია თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის წერილი, რომლითაც მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობა თხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, რათა მათ დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში განიხილონ მედიცინის ფაკულტეტის გაუქმების (მილევად რეჟიმში გადაყვანის) საკითხი.

სენატის სპიკერმა საბჭოს წინაშე დასვა საკითხი თსუ მედიცინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი საკითხის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით, რაც ერთხმად იქნა მხარდაჭერილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საკითხის განხილვა (მომხსენებელი: მაია ბიწკინაშვილი);

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების საკითხის განხილვა (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი)

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, თსუ სენატის წევრის, გიორგი არქანიას შუამდგომლობას, სენატის სხდომაზე თსუ სტუდენტების დაშვებასთან დაკავშირებით.

1.დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა - მაია ბიწკინაშვილმა. ამასთან, საბჭოს წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ აღნიშნულ საკითხზე თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას. მომხსენებლის განმარტებით, სამედიცინო განათლება საქართველოში დაიწყო სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1918 წელს. 1930 წელს ცალკე ინსტიტუციად გატანილი სამედიცინო განათლება კვლავ აღდგა თსუ-ში 1994 წელს და უკვე 31 წელია თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტს აქტიური წვლილი შეაქვს ექიმების ახალი თაობების აღზრდაში, სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში, უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდაში და, ამასთანავე, წარმოადგენს უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. აღნიშნა, რომ დღეს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი ფუნქციონირებს როგორც მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, მკვლევარებით და კლინიცისტებით დაკომპლექტებული ინსტიტუცია, რომელსაც ჰყავს 3000-ზე მეტი კურსდამთავრებული მედიკოსი, 2600-ზე მეტი აქტიური სტუდენტი, რეზიდენტი, მაგისტრანტი, თუ დოქტორანტი. შესაბამისად, მიაჩნია, რომ ფაკულტეტის გაუქმება არის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რითაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზიანდეს როგორც ფაკულტეტის სტუდენტები და აკადემიურ-ადმინისტრაციული შემადგენლობა, ისე მთლიანად ქვეყნის პირველი უნივერსიტეტი.

მომხსენებელმა აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 თებერვალს, მედიცინის ფაკულტეტის საბჭო შეიკრიბა და იმსჯელა როგორც უნივერსიტეტების გაერთიანების საკითხზე, აგრეთვე მედიცინის ფაკულტეტის გაურკვეველი ბედის თაობაზე. ფაკულტეტის შესაძლო დახურვის საკითხი ასევე განხილულ იქნა მედიცინის ფაკულტეტის N10 საბჭოს სხდომაზე. საბჭომ შეიმუშავა (არგუმენტირებული პოზიცია) დოკუმენტი, რაც წარმოდგენილია დღევანდელ სენატის სხდომაზე. თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მედიცინის ფაკულტეტის გატანა უნივერსიტეტიდან გამოიწვევს არაერთ აკადემიურ,

ორგანიზაციულ, ფინანსურ და მორალურ პრობლემას და შესაბამისად, მედიცინის ფაკულტეტის საბჭო კატეგორიულად ეწინააღმდეგება აღნიშნულს.

საკითხის ირგვლი გაიმართა დისკუსია. პოზიცია დააფიქსირა თსუ-ს სენატის წევრმა, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა დემეტრე აბესაძემ და ისაუბრა მედიცინის ფაკულტეტის თსუ-ს წიაღში დატოვების აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე.

მსჯელობისა და კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი დასვა კენჭისყრაზე

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 40

**წინააღმდეგი:** 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) კატეგორიულად ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის გატანას, გაუქმებას ან მილევად რეჟიმში გადასვლას.

2. დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა ვლადიმერ მარგელაშვილმა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გამართული შეხვედრის შესახებ. აღნიშნა, რომ დიალოგი და შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება.

ამის შემდგომ, წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია. სხდომაში მონაწილე თსუ სტუდენტთა ნაწილის სახელით გაკეთდა განცხადება სენატის წევრების მიმართ, მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მკაფიო პოზიციის დაფიქსირების თხოვნით.

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მიერ შემუშავდა და შეჯერდა განცხადების საბოლოო ტექსტი, რომელიც დადგა კენჭისყრაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების გიორგი არქანიასა და თეა ქარჩავას მიერ წარმოდგენილი იქნა ტექსტის მეორე ვერსია და ითხოვეს მისი დართვა წარმომადგენლობითი საბჭოს წინამდებარე ოქმზე.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 39

**წინააღმდეგი:** 1

**მიღებული გადაწყვეტილება:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების საკითხზე მიღებული იქნეს თანდართული ტექსტი. (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების გიორგი არქანიასა და თეა ქარჩავას მიერ წარმოდგენილი ტექსტის პროექტი დაერთო წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმს დანართი 3 -ის სახით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2026 წლის 04 თებერვალი, #1 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი**

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

**სტუდენტები:**

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ლია მაჭავარიანი-

2. ამირან ბიბილაშვილი-

3. მარიამ ახალკაციშვილი-

4. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა ბერგედავა -

## იურიდიული ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1.მაია ივანიძე-

2. ირა აქუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ქიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. რევაზ გაჩეჩილაძე -

**სტუდენტები:**

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ლუკა ტაბიძე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

ვლადიმერ გამსახურდია-

**სტუდენტები:**

1. ლილი მამუკაშვილი – ~~ მამუკაშვილი
2. ნინი ჯავახიშვილი -

## მედიცინის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი შარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

**სტუდენტები:**

1.ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. ლუკა მამალაშვილი-

3. მარიამ ბაღათურია -

4. მარიამ მახარობლიძე –

5. ქეთევან სტურუა –

6. ქეთევან ჭეიშვილი –

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

## ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

## კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

## რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

## პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

## არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

## მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

## ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა მავაძე-

## ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 1983/32
03.02.2026

1983-32-3-202602031648

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
აკადემიური საბჭოს თავჯდომარეს,
აკადემიკოს ჯაბა სამუშიას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
თავჯდომარეს, პროფესორ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ჯაბა,
ბატონო ვლადიმერ,

როგორც მოგეხსენებათ, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრმა გააჟღერა გადაწყვეტილება საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანების შესახებ. აგრეთვე, ჩვენთვის ცნობილია, რომ განათლების რეფორმა დადასტურებულად გულისხმობს მედიცინის ფაკულტეტის გატანას (მილევადი რეჟიმით გაუქმებას) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.
მიმდინარე წლის 2 თებერვალს, მედიცინის ფაკულტეტის საბჭო შეიკრიბა და იმსჯელა როგორც უნივერსიტეტების გაერთიანების საკითხზე, აგრეთვე მედიცინის ფაკულტეტის გაურკვეველი ბედის თაობაზე.
ფაკულტეტის შესაძლო დახურვის საკითხი ასევე განხილულ იქნა მედიცინის ფაკულტეტის N10 საბჭოს სხდომაზე. მედიცინის ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშავა (არგუმენტირებული პოზიცია) დოკუმენტი (მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება -05.12.2025), უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოზე წარსადგენად (დანართი -3). თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით არ განხილულა.

გიზიარებთ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის N1 -02.02.2026 დადგენილებას;

- თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭო ვერ დაეთანხმება გადაწყვეტილებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების თაობაზე.

აკაკი ბელიაშვილის ქ. № 78, 0159 თბილისი, საქართველო
78, Akaki Beliashvili st., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 2 25 04 84 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ-ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail

- მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამედიცინო განათლების ნებისმიერი ფორმით შეფერხებას(მედიცინის ფაკულტეტის გატანას, ან მილევად რეჟიმში გადაყვანას)

მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობა თხოვნით მიმართავს **უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, რათა მათ:**

- განიხილონ დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტის გაუქმების (მილევად რეჟიმში გადაყვანის) საკითხი და თავისი პოზიცია აცნობონ განათლების რეფორმის სამთავრობო კომისიას, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრს და მედიცინის ფაკულტეტს.

გთხოვთ, ეს საკითხები შეიტანოთ როგორც აკადემიური, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს დღის წესრიგში.

დანართების სახით გიგზავნით ამონაწერს მედიცინის ფაკულტეტის 02.02.2026 N1 სხდომის ოქმიდან(დანართი-1) და მედიცინის ფაკულტეტის N10 -05.12.2025 და N1 - 02.02.2026 საბჭოების დადგენილებებს.

პატივისცემით,
მაია ბიწკინაშვილი

დეკანი
მედიცინის ფაკულტეტი

**მიღებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 04 თებერვლის №1 ოქმით**

**დანართი 2**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) განცხადება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ეხმიანება თსუ-სა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაძლო გაერთიანების საკითხს. მიგვაჩნია, უმაღლესი განათლების რეფორმა მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, თუმცა ცალკეული დაუგეგმავი ინიციატივით გამოწვეული ვნებათაღელვა და მიმდინარე პროცესები ნათლად ასახავს საკითხის მნიშვნელობას, მის სენსიტიურობას და გამჭვირვალობის აუცილებლობას.

სამწუხაროდ, დღემდე არცერთ ინსტიტუციას არ მიუღია კონკრეტული კვლევის შედეგები ან ნებისმიერი სხვა სახის დასაბუთება ამ ორი უნივერსიტეტის გაერთიანებით განათლების/კვლევის ხარისხის ამაღლების ან/და სხვა შესაძლო პოზიტიური გავლენის შესახებ.

სენატი განსაკუთრებით ხაზს უსვამს უნივერსიტეტების ავტონომიის პრინციპს, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის ფუნდამენტურ საფუძველს. მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ავტონომია უზრუნველყოფს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობას მმართველობის პროცესებში. გაერთიანების საკითხი, გამჭვირვალობის, შესაბამისი აკადემიური თანამონაწილეობის, შიდა კონსულტაციებისა და უნივერსიტეტების მართვის ორგანოების რეალური ჩართულობის გარეშე, ქმნის რისკს ავტონომიის შეზღუდვის და ეწინააღმდეგება ევროპულ უმაღლესი განათლების სივრცეში დამკვიდრებულ მმართველობით სტანდარტებს.

გარდა ამისა, სენატი მიიჩნევს, რომ მსგავს მასშტაბურ ინსტიტუციურ რეორგანიზაციას თან ახლავს ადმინისტრაციული და აკადემიური რისკები, როგორიცაა: მართვის სისტემების არათავსებადობა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსის გაურკვევლობა, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების მართვის სისტემების შეუთავსებლობა და ორგანიზაციული არასტაბილურობა.

გაერთიანება გამოიწვევს მმართველობით სირთულეებს საკმაოდ გრძელვადიან პირობებში, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს განათლების ხარისხზე. გარდა ამისა, ორი უნივერსიტეტის გაერთიანება გარდაუვლად გამოიწვეს, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ადგილების შემცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) მიიჩნევს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების ინიციატივა არ არის დასაბუთებული და ამდენად, მიზანშეწონილი. სენატი მოითხოვს, პროცესის აკადემიურ სივრცეში დაბრუნებას, დიალოგს, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ჩართულობას საკითხის შესწავლისას და ავტონომიურობის პრინციპის პატივისცემით გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ორი უნივერსიტეტის გაერთიანების პროცესი ამ ფორმით უნდა შეწყდეს და გაგრძელდეს მხარეებთან აქტიური კომუნიკაცია.

**დანართი 3**

**თსუ სენატის წევრების - თეა ქარჩავასა და გიორგი არქანიას მიერ წარმოდგენილი ტექსტის პროექტი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) ოფიციალური პოზიცია ამავე უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების გადაწყვეტილების შესახებ**

2026 წლის 29 იანვარს გამოცხადდა სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ, რაც შეთანხმებული და განხილული არ ყოფილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის არცერთ ორგანოსთან (რექტორი, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტების საბჭოები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, ფაკულტეტთა დეკანები), პროფესორ-მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან. უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ მისი მიღების შემდეგ გახდა ცნობილი.

გადაწყვეტილების მიღების ამგვარი ფორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლს, რომელიც გულისხმობს შემდეგს: „აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია უზრუნველყოფილია“, აგრეთვე არღვევს უნივერსიტეტის წესდებას, რომელშიც მოცემულია: „უნივერსიტეტი არის ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“. ეს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს უნივერსიტეტის წესდების კიდევ ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის „საუნივერსიტეტო განათლების კლასიკურ ევროპულ მოდელზე დაფუძნებული უნივერსალური სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი“. წესდების თანახმად, უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არა მხოლოდ ცივილიზებულობის სიმბოლოა, იგი აგრეთვე არის სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოც, მიღებული გადაწყვეტილება კი ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ფასეულობებს, უნივერსიტეტის თვითმყოფადობის პრინციპს, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა იდეებსა და ზოგადად საუნივერსიტეტო იდეას, რომელიც უპირველეს ყოვლისა თავისუფლებას ეფუძნება. სწორედ დამოუკიდებლობა, ავტონომია, თავისუფლება განსაზღვავს უნივერსიტეტის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას.

უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის არ ყოფილა მოწოდებული კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზეც მიიღეს გაერთიანების გადაწყვეტილება, არც რაიმე სახის დოკუმენტი,

რომელშიც აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთდებოდა და მოცემული იქნებოდა გზამკვლელი გაერთიანების პროცესის წარმართვის შესახებ. წარმომადგენლობითმა საბჭომ არ იცის, თუ როგორ მოიაზრება ორი უნივერსიტეტის შერწყმის პროცესი. არსებულ შეკითხვებზე კონკრეტული და დამაჯერებელი პასუხები არც სამინისტროში 3 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე გაჟღერებული.

გაუმჭვირვალეობის ის ფორმა, რომლითაც განათლების რეფორმის განხორცილება მიმდინარეობს, არა მარტო პროცესისადმი ნდობას კარგავს, არამედ იქმნება მნიშვნელოვანი საფრთხეები, რომ განათლების ხარისხი არათუ ამაღლდება, არამედ დაქვეითდება (კონსტიტუციურად გარანტირებული განათლების ფორმის არჩევის საშუალების შეზღუდვა პრინციპით „ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი“, სასწავლო წლების შემცირება სკოლასა და უნივერსიტეტში, ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევების შემცირების რისკი, ახალი ტექნოლოგიების არგათვალიწინება, უნივერსიტეტის შენობების გასხვისების საფრთხე და სხვა). დგება ის საფრთხეც, რომ შესაძლოა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა გამოეთიშოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეს. შესაძლოა სახელმწიფოს მონოპოლიური დაფინანსებით უნივერსიტეტებს მოესპოს დამოუკიდებელი რესურსების მოპოვების შესაძლებლობა. განათლება საზოგადო სიკეთეა და ის არ უნდა გახდეს ხელოვნური სეგრეგაციის ინსტრუმენტი მომავალ თაობებთან მიმართებით. რეფორმების განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იყო ყველა სეგმენტის აზრი, რომელთაც ეს რეფორმა უშუალოდ შეეხება.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ აშკარად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ორივე უნივერსიტეტის საზოგადოებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არანაკლებ მტკივნეულია 104 წლის ისტორიისა და ტრადიციის მქონე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაქტობრივი ლიკვიდაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოუწოდებს, შეწყდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების პროცესი.

2. ორივე უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპის დაცვით დაიწყოს ორი ისტორიული უნივერსიტეტის გაერთიანების საჭიროების საკითხზე არგუმენტირებული საზოგადოებრივი დისკუსია როგორც ამ უნივერსიტეტთა, აგრეთვე დაინტერესებულ სეგმენტთა მონაწილეობით. აუცილებელია, რომ ეს პროცესი წარიმართოს ფართო კონტექსტის (უმაღლესი და ზოგადი განათლება) გათვალისწინებით, აკადემიური და სასკოლო საზოგადოების, განათლების სპეციალისტების, მკვლევრებისა და სტუდენტების ჩართულობით.

ამავე დროს, ორივე უნივერსიტეტში კვლევის, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს ვთავაზობთ შემდეგ წინადადებებს:

1. უნივერსიტეტთა წარსულის, გამოცდილებისა და ტრადიციის გათვალისწინებით, შენარჩუნდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა;

2. გაიზარდოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ფაქტობრივი ავტონომიის ხარისხი და ამან ასახვა ჰპოვოს საკანონმდებლო დონეზე;

3. გაიზარდოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ საშუალება მიეცეთ, დამოუკიდებლად შეძლონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, სწავლების ხარისხის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ღირსეულად გააგრძელონ ფუნქციონირება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.